7579/2-7/23 2 10102023

7579/2-7/23
10-10-2023

მოქალაქე ლიზი გოგოლაძეს

(ელექტრონული ფოსტის მისამართი: foi+request-2887-411a8608@askgov.ge)

ქალბატონო ლიზი,

თქვენი №1-12726/23 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კლიმატის შესახებ ერთიანი და ყოვლისმომცველი სამართლებრივი აქტი არ არსებობს, საქართველოს პარლამენტის მიერ ბოლო წლებში მიღებული საქართველოს კანონები მეტწილად აკმაყოფილებს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობიდან გამომდინარე ჰარმონიზაციის მოთხოვნებს. აღნიშნული საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავს შემდეგ კანონებს:

- „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი (№5948-სს, 22.05.2020), რომლითაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთელი ტერიტორია დაიყო ზონებად და აგლომერაციებად;
- საკანონმდებლო პაკეტი (საქართველოს კანონები: „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3279-XIმს-Xმპ, 16.06.2023), „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3281-XIმს-Xმპ, 16.06.2023), „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3282-XIმს-Xმპ, 16.06.2023), „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3283-XIმს-Xმპ, 16.06.2023) და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№3280-XIმს-Xმპ, 16.06.2023)), რომელიც ითვალისწინებს მაცივარაგენტების მოხმარების რეგულირების სისტემის გაუმჯობესებას, სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების სექტორში მომსახურების ხარისხის გაზრდას და გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების გაფრქვევათა შემცირებას;
- საქართველოს ტყის კოდექსი (№5949-სს, 22.05.2020), რომლითაც დაინერგა ტყის მდგრადი მართვის პრინციპები, რომლებიც მიზნად ისახავს ტყეზე ზეწოლის მაქსიმალურად შემცირებას;

- „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი (№5652-რს, 20.12.2019), რომელიც ადგენს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს;
- „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი (№5898-სს, 21.05.2020), რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ფარგლებში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების დანერგვის ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს, რაც ხელს შეუწყობს ენერგიის დაზოგვის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას;
- „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონი (№3381-XIმს-Xმპ, 29.06.2023), რომლის თანახმად, 2026 წლიდან ქვეყანაში კერძო სექტორისთვის ამოქმედდება ახალი ვალდებულებები საწარმოების გადაიარაღებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების ნაწილში. დაინერგება ახალი, ინტეგრირებული სანებართვო სისტემა, რომლის მიზანია სამრეწველო საქმიანობის შედეგად ჰაერში, წყალსა და მიწაში დაბინძურების პრევენცია, შემცირება და კონტროლი, აგრეთვე ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია;
- „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი (№3423-XIმს-Xმპ, 30.06.2023), რომელიც განსაზღვრავს წყლის რესურსების მართვის ახალ პრინციპებს, სისტემასა და სტანდარტებს და რომელიც მიზნად ისახავს, კლიმატის ცვლილებებისა და, ზოგადად, ბუნებრივი პროცესების გათვალისწინებით, წყალი იყოს თანაბარზომიერად ხელმისაწვდომი, ხოლო წყლის რესურსები – დაბინძურებისგან დაცული;
- „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (№2738-XIმს-Xმპ, 04.04.2023), რომლის საფუძველზეც მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული იქნება გამწვანების საკითხები;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (№2649-XIმს-Xმპ, 22.03.2023), რომელიც მიმართულია ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის სრულყოფისკენ, ავტოტრანსპორტის ტექნიკური გამართულობისა და, საბოლოდ, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენ და ითვალისწინებს სანქციების დაკისრებას ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ინსპექტირების დადგენილი წესით გავლის ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (№3465-XIIრს-Xმპ, 12.07.2023), რომლითაც დაწესდა საჯარიმო სანქციები სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის დადგენილი ნორმების დარღვევისთვის, აგრეთვე გასწორდა კოდექსში არსებული ზოგიერთი ხარვეზი.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ბრიტანეთის მთავრობისა და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩოკანონის შემუშავებაზე. კომიტეტი საქართველოს კანონის პროექტის

შემუშავების პროცესს წარმართავს თვისებრივად ახალი მიდგომით – კანონპროექტის მომზადებამდე საკონსულტაციო დოკუმენტების („მწვანე წიგნისა“ და „თეთრი წიგნის“) მომზადებისა და წარდგენის გზით.

2023 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა საჯაროდ გამოაქვეყნა „მწვანე წიგნის“ დოკუმენტი, რომელიც საკონსულტაციო ხასიათის იყო და საზოგადოების ფართო ჯგუფებს შეხედულებების გაზიარებას სთხოვდა. ამის შედეგად მიღებულ იქნა წერილობითი მოსაზრებები. ამასთანავე, კომიტეტმა გამართა 3 დიდი საკონსულტაციო შეხვედრა (თელავში, ქუთაისსა და თბილისში), რომლებსაც ასობით დაინტერესებული პირი დაესწრო. „მწვანე წიგნის“ ანალიზის საფუძველზე შემუშავდა „თეთრი წიგნი“, რომელშიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარდგენილი წინადადებები. საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში დაგეგმილია საჯარო განხილვების ორგანიზება. „თეთრი წიგნის“ საფუძველზე კომიტეტი შეიმუშავებს კანონპროექტს და მას საკანონმდებლო ინიციატივის წესით, განსახილველად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

პატივისცემით,
საორგანიზაციო

დეპარტამენტის უფროსი
ეთერ სვიანაიძე

ე. სვიანაიძე